

დამატებითი სერვისის პირობები
„Amediateka“ „Silk Go-ს“ პლატფორმებზე (Silk Go-ს მობილური აპლიკაცია და ვებ გვერდი SilkTV.ge)

1. დამატებითი სერვისის „Amediateka“ „Silk Go-ს“ პლატფორმებზე (Silk Go-ს მობილური აპლიკაცია და ვებ გვერდი SilkTV.ge) აქტივაციისას, Silk Go-ს ავტორირებული მომხმარებელი (ფიზიკური პირი) მიიღებს წვდომის უფლებას „Amediateka“ კონტენტების კატალოგებზე;
2. 'Silk Go-ს აპლიკაციით და ვებ გვერდით "SilkTV.ge" სარგებლობა შესაძლებელია ინტერნეტ კავშირის მეშვეობით;
3. „Amediateka“ სერვისი ხელმისაწვდომია ნებისმიერი ტიპის ბრაუზერიდან;
4. დამატებითი სერვისის აქტივაცია შესაძლებელია მოხდეს შემდეგი გზით:
 - 2.1 Silk Go-ს პარამეტრებიდან „ანგარიში და ტარიფები“;
 - 2.2. Silk Go-ს „Amediateka“-ს გვერდზე განთავსებული კონტენტის პოსტერებზე დაჭერის მეშვეობით.
5. რეგისტრაცია ხორციელდება ონლაინ რეჟიმში, ბრაუზერში ვებ გვერდის საშუალებით (აპლიკაციის შემთხვევაში ვებ გვერდის გარდა ასევე აპლიკაციის ჩამოტვირთვით), ერთი პირადი ნომრით - მხოლოდ ერთი Silk Go მომსახურების ანგარიშის ნომერზე. რეგისტრაცია შესაძლებელია როგორც არსებული სილქნეტის მომსახურების ანგარიშის ნომერზე (Post Pay), ასევე ახალ ანგარიშზე (Pre Pay);
6. „Amediateka“ სერვისის აქტივაციისას, აბონენტს ექნება წვდომა „Amediateka“-ს კატალოგებთან და შეძლებს მასში განთავსებული კონტენტის ყურებას ულიმიტოდ (ამასთან, კონტენტის გადმოწერა/ შენახვა არ იქნება შესაძლებელი);
7. მომხმარებლებს, რომლებსაც სილქ ტვ მომსახურებაზე გააქტიურებული აქვთ სერვისი „Amediateka“, შესაძლებლობა აქვთ Silk Go-ს პლატფორმებზე (აქტივაციისა და დამატებითი გადასახდელის გარეშე) ისარგებლონ აღნიშნული სერვისით; ასევე, მომხმარებლებს, რომლებსაც Silk Go გააქტიურებული აქვთ სილქ ტვ მომსახურების ანგარიშის ნომერზე და Silk Go ზე სარგებლობენ სერვისით „Amediateka“, შესაძლებლობა აქვთ სილქ ტვ მომსახურებაზე (აქტივაციისა და დამატებითი გადასახდელის გარეშე) ისარგებლონ აღნიშნული სერვისით;
8. სილქ ტვ-ის მომსახურების ანგარიშის ნომრით რეგისტრირებულ Silk Go-ს მომხმარებლებს, რომლებიც სილქ ტვ მომსახურებაზე უკვე სარგებლობენ სერვისით „Amediateka“, აღნიშნული სერვისით Silk Go-დან სარგებლობისას, დამატებით არ დაერიცხება Amediateka-ს ღირებულება;
9. მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირობა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სილქ ტვ-ის მომსახურება არის აქტიური (არ არის შეზღუდული/შეჩერებული); სხვა შემთხვევაში „Amediateka ხელმისაწვდომი არ იქნება არც Silk Go-ს პლატფორმებიდან ;
10. 'Silk Go-ს ნებისმიერ პლატფორმაზე ავტორიზებული აბონენტი, რომელიც სარგებლობს სერვისით „Amediateka“, თუ მომავალში გახდება სილქ ტვ-ის აბონენტიც, მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელი იქნება სერვისის „Amediateka-გააქტიურება სილქ ტვ მომსახურების სააბონენტო ანგარიშზე. ასეთ შემთხვევაში გავრცელდება მე-8 პუნქტით განსაზღვრული დარიცხვის პირობა;
11. „Amediateka“-სერვისის გააქტიურება შესაძლებელი იქნება თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ;
12. „Amediateka“ სერვისის დეაქტივაცია ხდება Silk Go -ს პარამეტრებიდან "ანგარიში და ტარიფები";

13. Silktv.ge-ს ნებისმიერ ვიზიტორს (მათ შორის არაავტორიზირებულ მომხმარებლებსაც), ექნებათ სერვისის კონტენტის პოსტერებისა და აღწერის დათვალიერების შესაძლებლობა;
14. სილქ ტვ-ის მომსახურების ანგარიშის ნომრით რეგისტრირებულ Silk Go-ს მომხმარებლისთვის, „Amediateka“ სერვისის შეზღუდვა ხდება სილქ ტვ-ის პირობების შესაბამისად.

| | |
|--|---|
| <p>Amediateka-ს კატალოგი იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც Silk Go ნებისმიერ პლატფორმაზრეგისტრირებულნი არიან სილქ ტვ მომსახურების ანგარიშის ნომრით და სილქ ტვ-ზე სარგებლობენ აღნიშნული დამატებითი სერვისით</p> | <p>აბონენტი, რომელიც უკვე სარგებლობს სილქ ტვ მომსახურებაზე დამატებითი სერვისით Amediateka (რომლის ღირებულებასაც იხდის სილქ ტვ მომსახურებასთან ერთად), Silk Go-ზე იგივე სერვისით სარგებლობისას არ დაერიცხება დამატებითი ღირებულება</p> |
| <p>Amediateka-ს კატალოგი იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც Silk Go-ზე რეგისტრირებულნი არ არიან სილქ ტვ მომსახურების ანგარიშის ნომრით (რეგისტრირებულნი არიან ნებისმიერი სხვა სილქნეტის მომსახურების ანგ. ნომრით, ან ახალ ანგარიშზე)</p> | <p>3 (სამი) ლარი</p> |